

რკინიგზის სადგურების ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის
განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით ინტერესთა გამოხატვის
გამოცხადების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი N3

თბილისი

2017 წლის 28 თებერვალი

შპს „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის ბრძანებით შექმნილმა, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საკუთრებაში არსებული ოცდასამი რკინიგზის სადგურის („ვაგზლის“) ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების და შედეგების განმხილველმა დროებითმა კომისიამ, გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძის თავმჯდომარეობით, კომისიის წევრების: თამაზ ბარაბაძის, ანი ჯაფარიძის, მათა ბუაძის, ნიკოლოზ ყალიჩავას და მალხაზ ჯალაღონიას მონაწილეობით განიხილა ინფორმაცია, ზეპირი ინტერესთა გამოხატვის თაობაზე და 2017 წლის 27 თებერვლის №2 ოქმის გათვალისწინებით;

კომისიამ დაადგინა ზეპირი ინტერესთა გამოხატვის შემდეგი პირობები:

1. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ:

ა) იურიდიული პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი, კომპანიის სახელით მონაწილეობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) ან შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა.


ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი ან პირის მიერ გაცემული შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა

2. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პროცესზე გამოცხადებულმა მონაწილემ უნდა დაადასტუროს მის მიერ ინტერესთა გამოხატვის დროს უკვე შემოთავაზებული ფასი ან გაზარდოს მისი ოდენობა. ამასთანავე, პრეტენდენტმა უნდა წამოადგინოს მის მიერ შემოთავაზებული წინადადების (ფასის) უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომში - გარანტია), მინიმუმ 6 (ექვსი) თვის გადასახდელის ოდენობით.

3. გარანტიად მიიღება - საბანკო გარანტია (დედანი), რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პროცედურის დასრულებიდან არანაკლებ 8 (რვა) თვე. ასევე, გარანტიად მიიჩნევა შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საბანკო ანგარიშზე შესაბამისი საგარანტიო თანხის განთავსება.

4. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს (საბანკო ანგარიშზე თანხა უნდა იყოს განთავსებული) ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პროცედურის დაწყებამდე ერთი დღით ადრე.

5. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პროცედურაში შერჩეულ პრეტენდენტს (რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება), მის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო თანხა ჩაეთვლება პირველივე ანგარიშსწორებისას ან დაუბრუნდება მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია.



ხოლო, სხვა პრეტენდენტებს, პროცედურის დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნდებათ მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი გარანტია.

6. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის საწყისი ფასი განისაზღვრება ინტერესთა ზეპირი გამოხატვის დროს გაცხადებულ/დადასტურებული ყველაზე მაღალი ფასიდან.

7. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის მსვლელობს დროს მინიმალური ბიჯის ოდენობა განისაზღვრება 500 ლარით ან ბიჯის ოდენობის სასურველი ჯერადობის მომატებით და გაიმართება 3 (სამი) რაუნდი.

8. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის დასრულების შემდეგ, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ დროებითი კომისია საბოლოოდ განიხილავს პრეტენდენტთა მიერ დაფიქსირებულ წინადადებებს და გადაწყვეტილებას - ოქმის სახით გამოაქვეყნებს სს „საქართველოს რკინიგზის“ და შპს „ჯიარ ქონების მართვის“ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

9. თუ საბოლოო გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ ვადაში გამარჯვებული პრეტენდენტი უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე, შპს „ჯიარ ქონების მართვა“ იტოვებს უფლებას ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზოს იმ პრეტენდენტს, რომელმაც ინტერესთა ზეპირი გამოხატვის დროს რიგით მომდევნო ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი, ზეპირი ინტერესთა გამოხატვის პირობები;

2. ეცნობოს პრეტენდენტებს კომისიის მიერ დამტკიცებული, ზეპირი ინტერესთა გამოხატვის პირობები;

3. ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პროცედურა გაიმართოს 2017 წლის 20 მარტს, 14:00 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის #15, სს „საქართველოს რკინიგზა“, მეორე სართული, ოთახი #2043;

კომისიის თავმჯდომარე:

წევრები:

კობა ლაცაბიძე

თამაზ ბარაბაძე

ანი ჯაფარიძე

მაია ბუაძე

ნიკოლოზ ყალიჩავა

მალხაზ ჯალაღონია